ინფორმაცია 2014 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის იანვარ-მარტში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 3.2 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი იანვარში 0.5 პროცენტი, თებერვალში 4.9 პროცენტი, ხოლო მარტში 4.3 პროცენტი დაფიქსირდა.

2015 წლისათვის მშპ-ის ზრდა დაგეგმილია 5%-ის ფარგლებში, თუმცა რეგიონში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი რეგიონის ყველა ქვეყნისთვის და მთლიანად რეგიონისთვის მნიშნველოვნად შემცირდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, მის მიმოხილვაში საქართველოსთან მიმართებაში განახლებული პროგნოზი წარმოადგინა (მშპ-ის 2%). იმის გათვალისწინებით, რომ წინანსწარი მონაცემებით 2015 წლის პირველი კვარტლის მშპ-ის ზრდა შეადგენს 3.2%, წლიური პროგნოზის განახლებისთვის მნიშვნელოვანია პირველი კვარტლის შედეგების და მეორე კვარტლის მიმდინარეობის გაანალიზება.

IMF მიმოხილვის მიხედვით მშპ-ის ზრდის მაჩვენებლები

	2015 პროგნოზი (2015 წლის აპრილის მიმოხილვა)	2015 პროგნოზი (2014 წლის ოქტომბრის მიმოხილვა)
საქართველო*	2	5
დსთ	**-2.6**	**1.6**
რუსეთი	-3.8	0.5
რუსეთის გარეშე დსთ-ის რეგიონი	**0.4**	**4**
სომხეთი	-1	3.5
აზერბაიჯანი	0.6	4.3
ბელორუსი	-2.3	1.5
ყაზახეთი	2	4.7
ყირგიზეთი	1.7	4.9
მოლდოვა	-1	3.5
ტაჯიკეთი	3	6
თურქმენები	9	11.5
უკრაინა	-5.5	1
უზბეკეთი	6.2	6.5

ფასები

2015 წლის მარტში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 1.5 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის მარტში 2014 წლის მარტთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 2.6 პროცენტით გაიზარდა. 2014 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 3.5 პროცენტი იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები სურსათი და უალკოჰოლო სასმელებმა 1.2 და ჯანდაცვამ 0.6 პროცენტული პუნქტით გაზარდა, ხოლო ტრანსპორტმა 0.8 პროცენტული პუნქტით შეამცირა.

საგარეო სექტორი

2015 წლის იანვარ-მარტში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 პროცენტით შემცირდა და 2 279 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 503 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 1 776 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად, 28 პროცენტით და 3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2015 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 15.8 პროცენტს შეადგენდა. მას მოსდევს აზერბაიჯანი 9.4, ჩინეთი 8.4, რუსეთი 7.5, გერმანია 6.0 პროცენტული წილებით და ა.შ.

ექსპორტში 12.6 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე ბულგარეთი 10.3 პროცენტით, მესამეზე თურქეთი 8.1 პროცენტით, მეოთხეზე სომხეთი 6.7 პროცენტით და ა.შ. იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 18.0 პროცენტით, შემდეგ მოდიან ჩინეთი 9.5 პროცენტი, აზებაიჯანი 8.5 პროცენტი, რუსეთი 8.0 პროცენტი და ა.შ.

ცვლილება მოხდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 12.2 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები 11.5 პროცენტი, თხილი და სხვა კაკალი 10.3 პროცენტი, ფეროშენადნობები 9.6 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 5.0 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.4 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები 7.6 პროცენტი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები 7.3 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 3.9 პროცენტი და ა.შ.

აღნიშნულ პერიოდში ევროკავშირში ექსპორტი გაიზარდა 21.1 პროცენტით, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში 55.3 პროცენტით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტი შემცირდა დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 986 490,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 079 991,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104,7%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 845 500,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 890 591,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 44 578,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 58 184,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 130,5%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 96 412,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 131 215,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 136,1%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 74 978,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 500,0 ათასი ლარი) 517,1%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 10 597,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (8 400,0 ათასი ლარი) 126,2%-ია.

2015 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**1,986,490.1**	**2,079,991.6**	**93,501.5**	**104.7**
გადასახადები	**1,845,500.0**	**1,890,591.7**	**45,091.7**	**102.4**
საშემოსავლო გადასახადი	504,900.0	498,060.0	-6,840.0	98.6
მოგების გადასახადი	286,900.0	318,901.8	32,001.8	111.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	799,900.0	848,637.8	48,737.8	106.1
აქციზი	193,200.0	176,898.5	-16,301.5	91.6
იმპორტის გადასახადი	25,800.0	17,730.0	-8,070.0	68.7
ქონების გადასახადი	28,700.0	24,420.0	-4,280.0	85.1
სხვა გადასახადი	6,100.0	5,943.6	-156.4	97.4
გრანტები	**44,578.1**	**58,184.2**	**13,606.1**	**130.5**
სხვა შემოსავლები	**96,412.0**	**131,215.6**	**34,803.6**	**136.1**

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების წლიური და I კვარტლის შესრულება 2009-2015 წლებში

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებების წლიური და I კვარტლის შესრულება 2009-2015 წლებში



2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 870 058,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 951 140,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104,3%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 780 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 828 464,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,7%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 44 578,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 58 184.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 130.5%.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 45 480,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 64 491.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 141.8%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 63 210,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (10 500,0 ათასი ლარი) 602,0%-ია. აქედან, შემოსულობა რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიიდან შეადგენს 45 179,4 ათას ლარს (შპს მობიტელის, შპს ჯეოსელის და შპს მაგთიკომის მიერ ლიცენზიებით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის თანხები).

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 10 552,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 400,0 ათასი ლარი) 125,6%-ია.

2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**1,870,058.1**	**1,951,140.7**	**81,082.6**	**104.3**
გადასახადები	1,780,000.0	1,828,464.7	48,464.7	102.7
გრანტები	44,578.1	58,184.2	13,606.1	130.5
სხვა შემოსავლები	45,480.0	64,491.8	19,011.8	141.8

2015 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათას ლარებში

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**1,780,000.0**	**1,828,464.7**	**48,464.7**	**102.7**
საშემოსავლო გადასახადი	468,100.0	460,380.8	-7,719.2	98.4
მოგების გადასახადი	286,900.0	318,901.8	32,001.8	111.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	799,900.0	848,637.8	48,737.8	106.1
აქციზი	193,200.0	176,898.5	-16,301.5	91.6
იმპორტის გადასახადი	25,800.0	17,730.0	-8,070.0	68.7
სხვა გადასახადი	6,100.0	5,915.7	-184.3	97.0

2015 სახელმწიფო ბიუჯეტის I კვარტლის გადასახდელები

საქართველოს 2011-2015 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების
I კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

ათას ლარებში



საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, დეფიციტი/პროფიციტი განისაზღვრება, როგორც მთალიანი სალდო, რომელი წარმოადგენს საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის არსებულ სხვაობას, ხოლო თავის მხრივ საოპერაციო სალდო მიიღება ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით. აღნიშნული წესის თანახმად ნაერთი ბიუჯეტის 2015 წლის 3 თვის შესრულება პროფიციტული იყო (მშპ-ის 0.6%).

საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი იყენებს დეფიციტის მონაცემებს GFSM 1986 კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც განსხავებულად აღრიცხავს დეფიციტს GFSM 2001 კლასიფიკაციასთან შედარებით, რის გამოც მნიშნველოვანია მონაცემების გამოქვეყნება GFSM 1986 კლასიფიკაციის მიხედვითაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობისას, დეფიციტის გამოსათვლელად გამოიყენება ასევე GFSM 1986 კლასიფიკაცია. 2012 წელს, IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში ურთიერთგაგების ტექნიკური მემორანდუმით ასევე განისაზღვრა, რომ დეფიციტის გამოთვლისას მონაწილეობას დაბრუნების ქვეანგარიშიც (საქართველოს კანონმდბელობის შესაბამისად ზედმეტად გადახდილი გადასახადების დასაბრუნებლად ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში არსებობს დაბრუნების ქვეანგარიში, რომელზეც პერიოდულად მიიმართება საგადასახადო შემოსავლების ნაწილი და ამ ანგარიშიდან ხორციელდება წლის მანძილზე გადასახადის გადამახდელების მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება), რომელიც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მონწილეობას არ იღებს წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებაში. 2015 წლის პირველ კვარტალში მიღებული შემოსავლებიდან ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრების გათვალისწინებით, ანგარიშზე წმინდა დაგროვებამ შეადგინა 10.7 მლნ ლარი. შედეგად პირველ კვარტალში დეფიციტი არ დაფიქსირებულა და ბიუჯეტის 3 თვის შესრულება დაბალანსებულია.

სახელმწიფო ვალების აღება და დაფარვა

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 279 736.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- 198 577.0 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 81 159.0 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**81,159.0**
IFAD	2,105.3
WB	15,471.7
EBRD	1,154.1
ADB	34,173.1
EIB	8,012.6
საფრანგეთი	5,366.5
იაპონია	10,996.0
გერმანია	3,879.6

საშინაო ფასიანი ქაღალდები

2015 წლის 3 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 11 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 404 996.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 44.4% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 30.9% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 22.2% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 2.5% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა 394 835.3 ათასი ლარი, მათ შორის ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 288.8 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 204 200.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 196 258.4 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 7 941.6 ათასი ლარი. 2015 წლის 31 მარტის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 198 577.0 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 99.3 %-ს შეადგენს.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2015 წლის I კვარტალში დაგეგმილი 100 000.0 ათასი ლარის ემისიიდან, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99 996.0 ათასი ლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

ვალის მომსახურება და დაფარვა

2015 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 209.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 153.4 მლნ ლარი
  - ✓ მომსახურება - 22.5 მლნ ლარი;
  - ✓ დაფარვა - 130.9 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულები - 55.6 მლნ ლარი;
  - ✓ მომსახურება - 50.6 მლნ ლარი;
  - ✓ დაფარვა - 5.0 მლნ ლარი;

სარეზერვო ფონდები და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

- ✓ **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი**

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 30 318.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 24 316.1 ათასი ლარი.

- ✓ **საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 658.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 115.7 ათასი ლარი.

- ✓ **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 107 108.5 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 19 077.4 ათასი ლარი.

ინფორმაცია 2015 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ხაზინაში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

მლნ ლარი

	01.01.2015	01.04.2015
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი ხაზინის ერთიან ანგარიშზე,	261.6	370.2
დაბრუნების ქვეანგარიში	83.7	94.4
სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიში	180.1	258.0
მიზნობრივი გრანტების ნაშთი	19.3	19.1
ხაზინის ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	38.4	41.5
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების კუთვნილი თანხები	4.8	57.7
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული სსიპ(ებ)-ის და ა(ა)იპ(ებ)-ის ნაშთი		104.1
სულ	587.9	944.9

ინფორმაცია 2015 წლის იანვარ-მარტში სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე

მლნ ლარი

	01.01.2015	01.04.2015
კომერციულ ბანკში რიცხული სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები (ვადიანი დეპოზიტი)	172.8	272.8
კომერციულ ბანკებში რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ნაშთები		235.5
კომერციულ ბანკებში რიცხული სსიპ(ებ)-ის და ა(ა)იპ(ებ)-ის ნაშთი		158.7
სულ	172.8	667.0